სამუშაოს ორგანიზაციის პროექტი

1. ძირითადი დებულებები

სამუშაოს ოგანიზაციის პროექტი შედგენილია მოქმედი ნორმების, წესების და სტანდარტების სრული დაცვით, შემდეგი ამოსავალი მონაცემების საფუძველზე:

– საინჟინრო კვლევები და საპროექტო მასალები;

– ცნობები გამოყენებულ მასალებზე, კონსტრუქციებზე, სამშენებლო მანქანებზე და რესურსებზე; სოფელ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ოტახის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის ჩასატარებელია შემდეგი სახის სამუშაოები:

– სამშენებლო მოედნის დასუფთავება;

– შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

– შენობის კედლების, ჭერის, კარებების, იატაკის სარემონტო სამუშაოები;

– სახურავის რეაბილიტაცია;

– შენობის დასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან.

აღნიშნულ ფართში სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლიობა 60 კალენდარული დღეა, განსაზღვრულია სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტით.

აუცილებელია სამუშაოების ჩატარების პერიოდში სამუშაოთა წარმოების ადგილის შემოფარგვლა. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემა ტიპიურია. სამუშაოები უნდა შესრულდეს საპროექტო მონაცემების შესაბამისად СНиП3,06,04-91-ის “სარემონტო სამუშაოები” მოთხოვნათა გათვალისწინებით,.

ყველა მასალა, და კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო მონაცემებს, სათანადო სახელმწიფო სტანდრტებს და აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს,

სამუშაოების დაწყების და დამთავრების სავარაუდო დრო და რეკომენდირებული თანმიმდევრობა მოცემულია კალენდარულ გრაფიკზე,

2. მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდის ამოცანები

მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხორციელდეს ძირითადი სამშენებლო სამუშაოების წარმოების ფრონტის უზრუნველყოფა, რომელსაც გრაფიკში დათმობილი აქვს 10 კალენდარული დღე. სარებილიტაციო სამუშაოებზე, პირველ რიგში მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში აუცილებლობას წარმოადგენს:

– სამშენებლო მოედნის ტერიტორიის შემოფარგვლა;

– სამშენებლო ტერიტორიის გასუფთავება;

– სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა წყლით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, სიგნალიზაციით.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ სრულდება სამშენებლო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სრული კომპლექსი,

3. სარეაბილიტაციო სამუშაოები

უნდა დასუფთავდეს შენობა არსებული ნაგვისაგან, მოხდეს სადემონტაჟო სამუშაოები, მოეწყოს კარებები და ფანჯრები, შესრულდეს სამღებრო სამუშაოები, და შენობის განთავისუფლება სამშენებლ;ო ნარჩენებისგან. ეს სამუშაოები განხორციელდება კალენდარულ გრფიკში მოცემული ხანგრძლიობის გათვალისწინებით,

4. შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა,

მშენებლობის წარმოებაში უსაფრთხო მეთოდების და სანიტარული ნორმების დაცვა სავალდებულოა, ტექნიკური უსაფრთხოების წესების ნორმებში (II 4-89) განხილულია ყვალა ის საკითხი, რომელთა ცოდნა სავალდებულოა მშენებლობის პერსონალთათვის,

მშენებლობაზე შეიძლება დაიშვას მხოლოდ ის პირები, რომელთაც ჩაუტარდებათ ტექნიკის უსაფრთხოების და სანიტარულ წესებზე სპეციალური ინსტრუქტაჟი,

უსაფრთხოების მიზნით სახიფათო ზონებში საჭირო დაიდგას სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები,

სამუშაოები უნდა იქნას უზრუნველყოფილი სამუშაოს წარმოებისთვის საჭირო უსაფრთხო ინვენტარით,

სამუშაოს დაწყების წინ მუშები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დამცველი ჩაჩქანებით, სპეცილური ტანსაცმლით და ფეხსაცმლით,

მშენებლობის ყველა ქვედანაყოფი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი დახმარების მედიკამენტებით,

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების შესრულებას მსენებლობაზე უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.